



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

"მთიულური"

"მთიულური", ქართული ხალხური ცეკვების ჯგუფი. ხასიათდება მსგავსი ილუტებით (მრავალფეროვანი ჩაკვრები, ცერილუტები, მუხლილუტები, ბრუნები, ხტომის მაგვარი მოძრაობები). ამ ჯგუფში ერთიანდება "ცერული" (სვანეთი), "ხევსურული", "აფხაზური", "მოხეური" ("ყაზბეგური"), "მხარული", "ხონჯოური" (აჭარა), "თუშური", "მ". უმეტეს შემთხვევაში, ცეკვების მუს. ზომაა 2/4 ან 6/8, ტემპი - ჩქარი. ცეკვა "მ." აღმ. საქართვე. ერთ-ერთი კუთხის, მთიულეთის ცეკვაა. ქართვე. მთიულთა ცეკვებს აღნიშნავენ ზოგადი ტერმინით - "მთიულთა ცეკვები. "მ-ის" ვარიანტებია "შეჯიბრი", "მხედრული", "ხანჯლური"; ქალ-ვაჟთა "მ." კი სატრფიალო ხასიათს ატარებდა და ჩართულია არაერთ ქართ. ბალეტში (ა. ბალანჩივაძის "მთების გული", გ. კილაძის "სინათლე", დ. თორაძის "გორდა"), ასევე ი. გოკიელის ოპერა "პატარა კახში" და ე. ლომდარიძის საფორტეპიანო პიესა "მთიულურში".

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ბ., "ქართული ხალხური და კლასიკური ქორეოგრაფია (ბალეტი)", თბ., 2015; თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010; ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი დ., "მთიულური ცეკვები" თბ., 1953;
